№ 189 სექტემბერი 10, შაბათი 1888 სექტემბერი შაბათი 10, № 189

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეშელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისში, ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ფრანგულს ენაზედ

საქართველოს ისტორია

(ძველი ისტორია),

შედგენილი თ. სულხან ბარათაშვილისაგან,

თარგმნილი

ჟულ მურიეს მიერ. 5—4

ვეძებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.

პეტრე მირიანიშვილი.

მეორე ნაგორნის ქუჩა, № 9. (10—5)

„წერა კითხვის საზოგადოების"

გამგეობა

აცხადებს, რომ სოფ. თონეთის (ტფილისის მაზრა) სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა გამოგზავნოს თხოვნა საზოგადოების კანცელარიაში.

ტფილისი, 9 სექტემბერი

მთელს სამეგრელოს საზოგადოებას და განსაკუთრებით სამღვდელოებას ცხარე ლაპარაკი და ბაასი აქვსთ სასულიერო სასწავლებლის ვითარებაზე. ათზე მეტი წელიწადია, რაც ამ სასწავლებელს ქალაქიდგან ქალაქსა და სოფლიდგან სოფელში დაატარებენ და მუდამი ბინა-კი ვერ აღმოუჩინეს. ვინ მოსთვლის რამდენი ზარალი მისცა ამ გარემოებამ როგორც თვით სასწავლებელს, ისე საზოგადოებასა და სამღვდელოებას, მაგრამ ხარჯისა და ზარალის მიუხედავად დღესაც ვერ მორიგებულან და ვერ შეთანხმებულან თუ სად მოათავსონ სასწავლებელი. მას აქეთ, რაც სასწავლებელი დასძრეს მარტვილიდგან, სადაც საეპისკოპოსო კათედრა იყო, ვინ არ ებღაუჭება ამ სასწავლებელს, რომ თვითონ დაისაკუთროს; ფოთი, ახალ-სენაკი, თვით მარტვილი, ძველი სენაკი,-თვითოეულს ამათგანს სურს სასწავლებელი ხელში იგდოს იმის მიუხედავად, ემარჯვება თუ არა სასწავლებელს რომელიმე მათგანი. თვითოეული მათგანი ხმა მაღლად გაიძახის, რომ სასწავლებელი ჩემს ხელში უკეთ იწარმოებსო, არც ხარჯსა და ზრუნვას დავიშურებო, ჩემი ჰავა და მდებარეობა უკეთესიაო, და თან აძაგებს მოქიშპეს, მოპირდაპირეს, და აი ამ ბრძოლაში გადის დრო და სასწავლებელი სულ ერთსა და იმავე გამოურკვეველს მდგომარეობაშია. იმ დაბა-სოფლებისა და ქალაქის საქციელი გვიმტკიცებს, რომ თვითოეული მათგანი მთელის სამეგრელოსა და სასწავლებლის ვითარებას-კი არ დაეძებს, არამედ საკუთარის ინტერესით ხელმძღვანელობს, რადგანაც იცის, რომ სასწავლებელი თვითოეულისათვის დიადაც სანატრელია და ხელსაც მისცემს. დღემდის საქმე ამ მდგომარეობაშია და საზოგადოება იმდენად ვერ შეთანხმებულა, იმდენად სიმართლით ვერ მოეპყრობია საქმეს, რომ ყოველის მხრით ასწონ-დასწონოს საქმე, გამოიძიოს და შეიტყოს, სად უფრო ემარჯვება სასწავლებელს და ამის მიხედვით დააბინაოს სკოლა და ყოველი შფოთი და დავა მოსპოს. ამას წინად ჩვენს გაზეთში დაწვრილებით აწერილი იყო ის უსიამოვნება და უთანხმოება, და შფოთი და კამათობა, რომელიც სასწავლებლის საქმემ გამოიწვია. უტყუარად ნაჩვენები იყო მიზეზი ამ გარემოებისა და, იმედია, სამეგრელოს საზოგადოება იმ სურათში თავის თავს კარგად იცნობდა. ეხლა-კი იმედია, რომ ამ შფოთს და დავას ამ მოკლეს ხანში ბოლო მოეღება. სადაც არის, უნდა შესდგეს სამღვდელოების კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს სასწავლებლის საქმე და უნდა ვისურვოთ, რომ კრება იხელმძღვანელებს მხოლოდ ქვეყნისა და სასწავლებლის ინტერესითა და არა ერთის რომელისამე ქალაქისა და დაბის სურვილითა და წადილით.

ჩვენის ფიქრით, საუკეთესო იქნება სასწავლებელი ისევ მარტვილს დაუთმონ, ვითარცა ისეთს ადგილს, რომელსაც ისტორიული უპირატესობაცა აქვს სხვა დაბა-სოფლებთან შედარებით: მარტვილი მუდამ დედა ადგილი ყოფილა სამეგრელოს სწავლა-განათლებისა და ჰავითა და მდებარეობითაც სჯობნის ფოთსა და ახალ-სენაკს. გარდა ამისა, მარტვილის სამღვდელოებამ დიდი ხარჯიც გასწია სასწავლებლისათვის საეკკლესიო მოავრობის თანხით. როგორც შევიტყეთ, საეკკლესიო მთავრობის აზრით, სასწავლებელს მარტვილში უფრო ემარჯვება ყოფნა, ვინემ სხვა რომელსამე დაბა-სოფელში. მართალია, ახალ-სენაკი და ფოთი ზედ რკინის გზის პირს მდებარეობენ, მაგრამ სხვა მხრით-კი მარტვილი უფრო მოხერხებულია. ერთის სიტყვით, უნდა ვისურვოთ, რომ საქმე მალე და მშვიდობით გადასწყდეს, ბოლო მოეღოს იმ უთანხმოებას, რომელიც სამეგრელოს სამღვდელოებაში სუფევს და ხელს უშლის სასწავლებლის რიგისა და წესისამებრ წარმოებას. დრო არის სამეგრელოს საზოგადოება დარწმუნდეს, რომ კერძო და პირადი ქიშპი კეთილის მომასწავებელი არ არის და რომ სამართლიანი და გულ - წრფელი ლაპარაკი ერთად - ერთი საშუალებაა საქმის რიგიანად მოსაგვარებლად.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იგდირში, ერევნის გუბერნიაში, აღმოჩენილა ფრიად ძველი ხელთ-ნაწერი „ვეფხის-ტყაოსნისა". ამ „ვეფხის - ტყაოსნის" სიძველეს ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაცა, რომ დაწერილიაო ტყავზე, ანუ ეტრატზე, როგორც ძველად ამბობდნენ. ეს ხელთ-ნაწერი საკუთრებაა ერთის იგდირელის სომხისა, რომელიც ამბობს, რომ ასს თუმანს მაძლევდა ვიღაც ინგლისელი და არ მივეციო. ამ სომეხს ეს „ვეფხის-ტყაოსანი" უპოვნია ქართველების სოფელში და შეუძენია საკუთრებად. როგორც ვიცით, ხელთ-ნაწერი, მეტე ისეთის დიდებულის თხზულებისა, როგორიც არის „ვეფხის-ტყაოსანი" მით უფრო საყურადღებოა, რაც უფრო ძველია. ამიტომ ფრიად სასურველია, რომ იგდირის „ვეფხის-ტყაოსანი" შეადარებინ დაბეჭდილსა და დაინიშნავდნენ, რაც განსხვავება აღმოჩნდებოდა.

*** 4-ს ამ თთვისას სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლამ გადიხადა თავისის დაარსების დღეობა. დილის ათს საათზე წირვა გადაიხადეს მღვდელ-მონაზონმა და მღვდელმა მთავრის დახმარებით. წირვის დროს გალობდა სკოლის შეგირდების ხორო. პარაკლისი-კი სკოლის დარბაზში გადაიხადეს. პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სკოლის მზრუნველმა, რომელმაც მადლობით მოიხსენია საზოგადოება თანაგრძნობისა და დახმარებისათვის. დასასრულ შეგირდებს გამოუცხადეს, თუ ვინ გადავიდა შემდეგს კლასში, ან ვინ დარჩა. ზოგიერთს ყმაწვილებს ჩინებულის სწავლისა და ყოფა-ქცევისათვის საჩუქრად დაურიგეს წიგნები და ქების მოწმობა. საჩუქრები მიეცა ნ. ანდრონიკაშვილს, გ. ნახუცრიშვილს, იოსებ თარხნიშვილს, სიმონ ხუნდაძეს, თეოფილე რამიშვილს, ზაქარია ელიაშვილს და მელიტონ გიორგაძეს.

*** ბ-ნს არტურ ლეისტს განუზრახავს დაბეჭდოს ცალკე წიგნად გერმანულს ენაზედ კრებული სხვადასხვა კავკასიურის საერო ლექსებისა. ამ კრებულში იქნება მოთავსებული სხვათა შორის ნიმუშები მეგრულისა, ფშაურისა, სვანურისა, ჩერქეზულისა, აფხაზურისა, ოსურისა, თათრულისა და სხვა საერო ლექსებისა.

*** შარშან ბ-ნმა გ. დ. ქართველიშვილმა ცნობილს ფოტოგრაფს ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს ისტორიული ალბომი. ამ ხანებში ეს ალბომი ერმაკოვს უკვე შეუსრულებია. მთელი ალბომი იყოფება ექვს ნაწილად, ანუ ექვს დიდ წიგნად. ალბომში სისტემატიურად ჩატანილია სურათები საქართველოს ყველა მონასტრებისა და ეკკლესიებისა, იმათის კედლების ჩუქურთმებისა, ეკკლესიათა სამკაულისა, ჭურჭლისა და

## ფელეტონი

### ძველი და ახალი თაობა

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი.

ნ. ბარათაშვილი

### VI

ეხლა ჩვენის წერილების იმისთანა ადგილზე მივედით, სადაც საუბედუროდ ყოვლად შეუძლებელია ჩემთვის გავატარო სრული ფარდი სამოციან და სამოც-და-ათიან წელთა შორის, ავიღებთ ოჯახობრივ, სკოლის მხრივ, თუ საზოგადობრივ. ვიცი, რომ ეს შეუძლებლობა ძალიან ჰკვეცს ფრთასა მას, რის გამოთქმაც მე მქონდა განზრახული, როდესაც ამ საგანს მოვკიდე ხელი, მაგრამ მეტი გზა არ არის—უნდა ვიკმაროთ ის, რაც ჩვენს ხელთ არის, განვუზიაროთ ჩვენი შეხედულობა ცხოვრების ერთსა თუ მეორე საგანზე.

მკითხველს კარგად მოეხსენება, როგორი ფერიც მიიღო ჩვენმა შინაურმა ცხოვრებამ ბატონ-ყმობის გაუქმების ცოტა წინა და შემდეგ. ქონებრივი ძალა ჩვენს დაწინაურებულს საზოგადოებას შეუთხელდა და ნივთიერ სიმდიდრის ნაცვლად სხვაც ვერა შევიძინეთ-რა... სილარიბეს მოჰყვა ოჯახის არევ-დარევა, არევ - დარევამ გამოიწვია ოჯახის წევრთა უთანხმოება ერთი-ერთმორის, უთანხმოებამ დაჰბადა საშინელი სიძულილი, ჩხუბი, დავიდარაბა, წეწვა-გლეჯა, რომელიც აქამომდე არა თუ ჯერ არ გათავებულა, დღეს იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ ჩვენებური გამომძიებლები და პროკურორები ჩხრეკასა და გამომკვლევაში იყვნენ იმისა, თუ, რომელმა ქართველმა მოუღო ბოლო თავისს ძმას, ბიძაშვილსა და ახლო ნათესავს სულ რაღაც ერთის მტკაველ მიწის გამო და ისიც მაშინ, როდესაც არც ერთს შეუძლიან ამ მიწის სათანადოდ გამოყენება და პატრონობა და არც მეორეს. ვინც ცოტაოდენი უნარი და შნო გამოიჩინა ლუკმა პურის მოპოვებისა, იმას არა თუ ებაძავდით და მხარს ვაძლევდით, არა, შურისაგან სისხლი გვიშრებოდა და ვცდილობდით როგორმე ან პირიდამ წაგვეგლიჯა ეს ლუკმა და ჩვენ დაგვპატრონებოდით, ან როგორმე სარმა გამოგვეკრა და ძირს დაგვეცა გაძრიელებული მეზობელი. გაჭირდა ცხოვრება და, რაკი ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ღონისძიებას, რომ თავი გვერჩინა საკუთარის გარჯით, მივყევით ხელი ტაცაობას, სადაც-კი დაბალ ლობესა ვნახავდით...

**

ქონებრივის სივიწროის გამო ყველა თავის სახლში ჩაიკეტა და ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლის ადგილი დაიჭირა ვიზიტმა. არა თუ შორეული ნაცნობები, არამედ მეგობრები და ახლო ნათესავებ-ც უხდიდნენ ერთმანეთს ვიზიტებს. თვით ვიზიტმაც სრულებით დაჰკარგა თავისი ფერი და აზრი, ე. ი. ვიზიტად იმიტომ-კი არ დაიარებოდნენ, რომ ერთმანეთის ნახვა უნდოდათ, ენატრებოდათ აზრთა აღებ-მიცემა, ურთიერთის საქმისა და გარემოებას შეტყობა, არა და ათასჯერ არა. ვიზიტობდნენ იმიტომ, რომ ან საჭირო ამბავი გაეზიარებინათ თავიანთ მოყვასისათვის, ან მოყვასისაგან შეეტყოთ და შეევსოთ თავიანთი ბოხჩა ახალის ჭორით, ან კიდევ იმიტომა ვიზიტობდნენ, რომ ერთმანეთისათვის თვალი დაებრმავებინათ თავიანთის მორთულობით. უმეტეს ნაწილად-კი ვიზიტი მძიმე მოვალეობად გარდაიქმნა. უნდა მოჰკაზმულიყავ სავიზიტოდ და შეჰსულიყავ ნაცნობთან თუ ნათესავთან. იქაც ან უკვე მოკაზმულები დაგიხვდებოდნენ, ან ცოტა ხანს უნდა მოგეცადნა, მანამ მოიკაზმებოდნენ. დაიხარჯებოდა ათასჯერ გაცვეთილი და უაზრო სიტყვები—„როგორ მშვიდობითა ჰბრძანდებით", „გმადლობთ, ჩემო ბატონო, თქვენ ხომ კარგადა ჰბრძანდებით", კიდევ „გმადლობ" და შემდეგ ან „დღეს კაი ამინდი გახლავთ" მოჰყვებოდა, ან „სახვალიოდ კაი პირი უჩანს ამინდსა" და სხვა ამისთანა უგემური მუშაობა ენისა, მეტი არაფერი. მიტრიალ-მოტრიალდებოდა ჩვენი მევიზიტე და ახლა სხვაგან გაეშურებოდა, რომ სწორეთ ამავე ყაიდაზე ემუშავებინა თავისი ენა. იმ დროს რუსულიც შემოვიდა ხმარებაში. აბა რაღას იკადრებდა ქართულად ხმის ამოღებას და ან-კი რაღა ჰქონდა სათქმელი?

**

ამ სახით, ბატონ-ყმობის გაუქმების ცოტა წინა და შემდეგ, ცალკე ჩვენმა საზოგადო ცხოვრებამ იცვალა ფერი და ცალკე სწავლის საქმეც ძირეულად შეიცვალა. მაშინ-როდესაც ორმოციან და ორმოც-და-ათიან წლებში ჯამაგირსაც კი უნიშნავდნენ, ოღონდ ისწავლეთო, სამოციან და შემდეგ წლებში სწავლასა და სწავლებას დაედო საგრძნობელი ფასი. მიზეზი, რასაკვირველია, სხვათა შორის ისიც იყო, რომ ხაზინას არა ჰქონდა შეძლება ყველა მსურველისთვის ესწავლებინა თავის ხარჯზე. მშობელთ თვითონ უნდა ენაღვლათ თავიანთ შვილებისათვის და ხარჯიც გაეწერათ, რომ მთავრობას ცოტაოდენი შეღავათი მისცემოდა ხარჯში. რადგან ამავე დროს წიგნი მარტო საბატონკაცო ხელობა აღარ იყო, არამედ საყოველთაო საქმედ შეიქმნა, ამიტომ სწავლას მაწყდა, თავად-აზნაურთა შვილების გარდა, სხვა წოდებათა შვილებიც. ჩვენებური სასწავლებლები გაივსო შეგირდებით. სასწავლებლის მოხელენიც ისე ალერსიანად როდი-ღა ეპყრობოდნენ ჩვენს ახალგაზდას, როგორც

აგრეთვე სურათები არქიელთა და კათოლიკოსთ შესამოსლისა და ყოველ გვარ ეკკლესიურ იარაღისა. ხელოვნურად გადმოღებულია, სხვათა შორის, გელათის სახარების ზოგი მინიატურები და მრავალი ძველი წარწერანი და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, ალბომი მეტად ხელოვნურად და მშვენიერად შედგენილია და შეიცავს მრავალსა და ძვირფასს ნიმუშებს საქართველოს ხელოვნებისასა და ხუროთ-მოძღვრებისას. მთელი ალბომი ღირს 600 მან., ხოლო ცალი—100 მანათი.

*** ჩვენ გვწერენ ქართლიდამ, რომ სოფელს სალოლაშენში აგვისტოს გასულს ცხენები დაიპარეს ქურდებმაო. ერთი ცხენი მოჰპარეს გლეხს ზესო ჯავახიშვილს და მეორე — მგზავრს იმერლებს, რომელნიც იმ გლეხთან იყვნენ ჩამომხდარნი ღამის გასათევლადაო. არავის არ ახსოვს, რომ ამ სოფელში დაკარგულიყოს ან საქონელი, ან ცხენი და ამიტომ ამ ამბავმა ხალხი ძალიან დააღონა და შეაფიქრიანაო.

*** სოფ. ხიდისთავი: წელს აქაური მცხოვრებლები ჭირნახულის მოსავალს ვერ დაემდურებიან, მაგრამ ღვინო-კი მდარე მოვა, თითქმის შარშანდელის ნახევარსაც აღარ მოვლით. წრეულს სამჯერ გაფუჭდა აქაური ვენახები. პირველად გააფუჭა რთვილმა, მეორედ—ქარმა და ბოლოს დროს კიდევ ნაცარი შეეყარა ყურძნის მტევანს. ღვინის ფასმა წელს ძალიან აიწია, რადგანაც აქ გასასყიდი ღვინო ბევრი აღარ არის. კოკა ღვინო გაიყიდა (ოცი ბაზრის თუნგი) დაბალი თორმეტ მანეთად, საშუალო—თვრამეტ მანეთად და თავი ღვინო—ოც-და-ოთხ მანეთად.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ამაღლება** (გურია), ივლისი. ამაღლების საზოგადოება კარგა მოზრდილი საზოგადოებაა და შესდგება ქვეყნის სხვა-და სხვა სოფლისაგან. აღმოსავლეთით ფარცხმა, დასავლეთით აკეთი, სამხრეთით მდ. სუფსა და ჩრდილოეთით ნიგოითი და გუძკარი (სენაკის მაზრა) შეადგენენ ამ საზოგადოების საზღვრებს; ამ საზღვრებში 500 კომლამდე გლეხობა სახლობს და 100-მდე სხვა წოდებისანი. ეგრეთ წოდებული „ამაღლების მთა“ ჰყოფს ამ საზოგადოებას ორს უთანასწორო ნაწილად: ერთი უდიდესი ნაწილი მოჰქცევია სუფსის მხრით და მეორე-კი სამეგრელოსაკენ. ეს მეორე ნაწილი გახლავსთ ჯაპანა ანუ ჯიქედი, რომელიც მიკუნჭულია ერთს ვიწრო, მყუდრო და ჭაობიანს ხეობაში, სადაც ისეთი სამაგელი ჰავაა, რომ იქ, არა თუ ადამიანს, არამედ ქვასაც-კი სიყვითლის ფერი სძევს. ნათქვამია: „კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო“ და მართლაც უნდა იყოს, რაკი ჯაპანაშიც-კი გაუსაძლისიათ და მოუხერხებიათ ცხოვრება და რაკი გაუტეხელი ადამიანი აქაურის ჯანმრთელობის გამხრწნელს ჰავასაც არ უფრთხის და ებრძვის, ებრძვის იმიტომ, რომ ორიოდე მანეთისაზე მეტი სიმინდი მოიყვანოს და ამასთან მჭადით მაინც არის, ვიდრე ცოცხალია, მაძღარი იყოს. მაგრამ ძვირად, ძალიან ძვირად უჯდებათ იმათ ეს ბრძოლა: ეკარგებათ ფერ-ხორცი, ერღვევათ ჯანის სისაღე და უდროვოდ (ხშირად ოც-და-ათის წლამდის) შორდებიან წუთი-სოფელს.

ამ რიგად სამოც-ოთხმოცის წლის სიცოცხლე ჯაპანაში ოცისა და ოც-და-ათის წლის განმავლობაში ირღვევა. მართლაც შედარებით არსად სხვა გურიის სოფელში არ არის სიკვდილი ისე ხშირი, როგორც ჯაპანაში (უხაროდეთ ზოგიერთებს). არსად არ არის იმდენი ქვრივი ქალობა, რამდენიც იქ, რადგანაც სიკვდილს იქ უფრო მამაკაცები დაუბრიყვებია. ეს მოვლენა იმით უნდა აიხსნას, რომ მამაკაცები თითქმის მუდამ მინდვრად რჩებიან სამუშაოდ და, მაშასადამე, მოწამლულის ორთქლით რეულის ჰაერით სუნთქვა იმათ მეტი მოსდით, ვინემ დედაკაცებს, რომლებიც მარტო კერას გარშემო ფუსფუსებენ ნიადაგ.

ამაღლების პირველი ნაწილი (სუფსის მხრით) თუმცა ჰავითაცა და მდებარეობითაც შეუდარებელია, მაგრამ ნიადაგის ნაყოფიერების განაწილების დროს ბუნება ცოტა არ იყოს ხელ-მოჭერილად მოჰქცევია ამ კუთხეს ჩვენის სამშობლო ქვეყნისას და ძლიერ ცოტა მიუნიჭებია ეს ბევრად გამოსადეგი განძი იმისთვის. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ აქაურნი მკვიდრნი ნივთიერად ვერ არიან შეძლებულნი და დღიური ლუკმა პური ძლივს მოსდისთ.

ნივთიერად ღარიბი ამაღლება, საუბედუროდ, არც სულიერად არის მდიდარი, ზნეობით ვერ არის სპეტაკი. ერთობას, ერთმანეთში დანდობასა და მოთავსებას აქ ადგილი არა აქვს. ეკკლესიის სწავლა-მოძღვრებაზედ უფრო მეტად მკითხავ-ადვოკატების რჩევა-დარიგებაა შეწყნარებული. ამიტომაც აქ კანცელარიას მეტი მუშტარი ჰყავს, ვიდრე ეკკლესიებს. მართალია, დიდი ავ-კაცობა ვერ ეხერხებათ, მაგრამ წვრილმანებისათვის ხომ მუდამ მოცლილნი არიან. დაბეზღება, ცილის წამება და სხვა ამ გვარი ზნეობრივი ბიწიერება ხომ არ ჩამოითვლება.

„ეს საქმე რომ არ გეგება, ბატონო, მეც-კი ვიცი, ამბობს ხშირად აქაური,— მარა ვაღოდებ, ვაწოწიალებ, დავკარგავ, დავაცდენ კანცელარიაზედ თრევითა და იგიც მოსაგებათ მიმაჩნია“.

რასაკვირველია, ასეთს აჯამს სალხში მამასახლისსა და სუდიებს ბევრი უსაქმური საქმე და უნაყოფო ჯაფა აწევთ კისერზედ. მაგრამ არა უშავსთ რა, რადგანაც აქაურს კანცელარიაში «ღამის რევიზორები» არიან დარჩენილნი და მთელის წლის თავ-მოყრილ ქაღალდ-საჩივრებს და «კნიღებს» ერთს წამში გააქრობენ ხოლმე შკაფიდგან. ასეთი შემთხვევა არა ერთხელ მომხდარა და ყოველთვის დანაშაულობის კვალი მიუგნებელი დარჩენილა. ცხადია, რომ ასეთი დანაშაულობა იურიდიულად ძნელად სადმე დამტკიცდება, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოება ხომ ვერ დაიფიცავს, არ იცოდეს ვინ არის „ღამის რევიზორი“ და საჩივარ - „კნიღების“ ტროფიალი! ხოლო თუ-კი იცის, რატომ არ გამოიყენებს მისდამი მინიჭებულს უფლებას და ასეთს მავნეთა და ბიწიერებს რატომ არ იშორებს თავიდგან? ამისთვის ხომ მარტო ერთის „პრიღოვორის“ დადგენა და საზოგადოების ხელის მოწერაა საჭირო. რა-კი ასე არ იქცევიან, მაშ სჩანს თითონ საზოგადოებაც თანაუგრძნობს ბოროტებასა და ავაზაკობასა, თითონვე აფარებს ხელს მავნესა და წუწკს, მაშასადამე თითონვეა ავაზაკი, თითონვეა ქურდი!

როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, ამაღლება ღარიბია, მაგრამ, მიუხედავად ამ სიღარიბისა, იმათის შეძლებისა, ყველა სოფელში მშვენიერის თლილის ქვით ნაშენი და კარგის მხატვრობით აგებულ-მორთული ეკკლესიები აქვსთ. იმით-კი არ უნდა ვიწონებდეთ თავს, რომ კარგი ეკკლესია გვაქვს, არამედ იმითი, რომ ჩვენ თითონ ვიყვნეთ ეკკლესიისათვის კარგნი და ღვთის მოსაგონნი!

სკოლა ამაღლებაში რაღაც უკანასკნელ საქმედ მიაჩნიათ და მეც ჩემს წერილში ბოლოში მომდის იმაზედ ლაპარაკი. მართალია, ამ შვიდი-რვა წლის წინად დაუარსებიათ აქ ეს სასარგებლო დაწესებულება, მაგრამ შემდეგ უყურადღებოდ მიუგდიათ და დღესაც ასეთსავე უყურადღებობაშია. ვიწრო და უხეირო შენობა, ბუხარ-ჩამოშლილი, მინებ-ჩამტვრეული, ფარღალალა ჭერ-იატაკიანი და თითქმის დაუხურავი, აი, სურათი ამაღლების სკოლის სადგურისა. მე თითონ მოწამე ვიყავი, თუ რა გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით გაატარეს ეს ზამთარი ასეთს სადგურში აქაურმა ოსტატმა და შეგირდებმა. ნათქვამია: «ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო» და სწორედ ეგრეცაა. ამ ყოვლად უპატრონო და ხელ-შეუწყობელს სკოლაში ადგილობრივ მასწავლებელს ბ-ნ ე ჯ—ძეს სწავლის საქმე მაინც კარგად მიჰყავს. 19 ივნისს აქაურის შეგირდების გამოცდა იყო და გამომცდელები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ, რადგანაც გამოცდაში თითქმის ყველა შეგირდმა გაიმარჯვა.

26 ივნისს ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა კაპალომიძემ, რომელიც სკოლის საქმეს ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობა, გამოუცხადა საზოგადოებას სკოლის სადგურის განახლების საჭიროება და ამასთან მოკლე სიტყვით აუხსნა ხალხს სკოლის მნიშვნელობა. მაგრამ „კაი მთქმელს კაი გამგონეც უნდაო“. სამწუხაროდ ბოქაულმა ამ ხანად ამ საგანზედ საზოგადოებისაგან უარი მიიღო.

დათიკო გერმიცანაშვილი

**ნუხა**, 15 ივნისი. ნუხა დიდი ქალაქია; შიგ 27,000 მოსახლეა: სპარსნი, სომეხნი რუსნი და ქართველნი. გაშენებულია კავკასიონის ფერდობზედ, დაბახანის ხევის გაყოლებაზე მდებარეობა აქვს მშვენიერი. დაჰყურებს ალაზნის ველს და შირაქის უდაბნოებს. თვით შინაური მოწყობილობა და შენობა-კი რიგიანი არა აქვს. იმისი ქუჩები ვიწრონია, უსწორ-მასწორო, გაუკეთებელი. ერთად-ერთი ცოტაოდნად შეკეთებული ქუჩა, რომელიც მთელს ქალაქს ორად ჰყოფს, უსწორ-მასწორო, ოღრო-ჩოღროიანი და ზოგან ვიწროა; ამას გარდა ისეთი აღმართ-დაღმართიანია, რომ ეტლით უშიშრად ვერც-კი გაივლით.

არც შენობებია მაგრე რიგად მოწყობილი. აქ მშვენიერ ევროპიულ ყაიდაზედ ნაშენ სახლის გვერდით ხშირად შეხვდები ძველს, დანგრეულ-დაძველებულს ქოხმახს, ალაჩულა სახლებს.

ქალაქსა აქვს დიდი ბაზარი, აბრეშუმის სახვევი მანქანიკები და ქარხნები. ამ ქარხნებსა და მანქანიკებზე ყოველ წლივ იხვევა 20,000 ფუთზე მეტი პარკი. ყოველს ქარხანაში მუშაობს ყოველ დღე 200-მდე კაცი, რომელთაც ხელ-ფასად დღიურად ეძლევათ 60—70 კაპ. ქარხნები ეკუთვნისთ სომხებს. ბაზარში მოვაჭრენი არიან სპარსელები და სომხები. აქაური სავაჭრო: ჩითეულობა და ფარჩეულობა მოაქვსთ ზოგი სპარსეთიდგანა და ზოგი რუსეთიდგან. მაუდებს ჰქარგავენ და ჰქსოვენ აქვე ადგილობრივ. მაუდის მშვენიერს ბალიშის პირებს იყიდით 3 მანათად. ხალიჩები და ხალები მოაქვთ სპარსეთიდგან. სპილენძის ჭურჭლეულობას აქვე აკეთებენ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ნუხაში ძლიერ გაცხოველებულია. ამ ქალაქიდგან ყოველ წლივ გააქვსთ დიდ-ძალი აბრეშუმი, მატყლი, თრიმლი, ყველი, ხორბალი და მრავალი სხვა ნაწარმოები.

ძველ ნაშთთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ზიგზიდის და გიშის მონასტრების ნაშთები, რომელთაგანაც პირველი ნუხის აღმოსავლეთის მხარეს, გორაზედ, იმყოფება და მეორე გიშის წყლის ღელეში, ნუხის დასავლეთის მხრით. გიშის მონასტერს ეხლა დაჰპატრონებიან სომხები. წინად იგი იყო საკათედრო ტაძარი გიშის ეპისკოპოზისა, რომელსაც საქართველოს სასულიერო იერარქიაში ეჭირა უკა-

---

თერგ-დალეულის შეგირდობაში ენახეთ.

**

მართალია, სწავლის პროგრამა-კი უფრო გადიდდა, შეგირდს უფრო მეტი ეთხოვებოდა, ვიდრე თერგ-დალეულის სწავლების დროს, მაგრამ ძნელი ის იყო, რომ ქართულს ენას სკოლაშიაც რიგიანად და ბეჯითად აღარა სწავლობდნენ. ჩვენი ყმაწვილი შედარებით კარგადა სწერდა რუსულს და ქართულად-კი უბრალო მოკითხვის წიგნსაც ვერ დაგიწერდათ. თვით თქვენი უმორჩილესი ყმა და მოსამსახურე, რომელსაც თავის დღეში არ გაუბედნია ქართულის ლექსების წერა, რუსულად ახერხებდა ლექსსა და, რასაკვირველია, დიდად ასიამოვნებდა ხოლმე ამით თავის ნათესავებსა სწორეთ მაშინ, როდესაც ქართულად ათის წინადადების დაწერასა და ერთმანეთზე გადაბმას ვერ შესძლებდა. მე ვიცნობ იმისთანა ახალგაზდასაც, რომელიც დღეს მოღვაწეობს ქართულს მწერლობაში და რომელიც ამ ათის წლის წინად თავის დედ-მამას პეტერბურგიდამ რუსულადა სწერდა წერილებს, მაშინ-როდესაც არც მამასა და არც დედას ინჩიც არ გაეგებოდათ რუსულისა. სწერდა იმიტომ, რომ არ იცოდა ქართული ანბანი და ვერ ახერხებდა ქართულს ლაპარაკს, თუმცა დაიბადა საქართველოში, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და სცხოვრებდა ქართველების ოჯახებში, ვიდრე სწავლას გაათავებდა აქა და წავიდოდა უმაღლესის სწავლის მისაღებად.

ერთის სიტყვით, ცხოვრება, ოჯახი და სხვა ისე მოეწყო ჩვენის ახალგაზდისათვის, რომ ამისთანა დროს თერგ-დალეულის მოტრიალება ჩვენში სწორეთ მისწრება იყო.

**

გარნა თერგ-დალეულის აზრმა და გრძნობამ დაუარა ქართველს საზოგადოებას და მიაღწია ახალგაზდის ნორჩს სულსა და გულამდის. ამ დროიდამ სრულებით სხვა გვარად დატრიალდა ჩარხი ახალგაზდობისა. ყველა ჩვენგანს თავისს თავზე გამოუცდია ძალა და მნიშვნელობა იმ დროისა და ამიტომ დიდის ხნით ნუ შევდგებით ჩვენის ჭაბუკობის ამ სასიამოვნოდ მოსაგონებელს ხანაზედ.

ჩვენის გულისა და სულის უდაბნოში წამოიჭიმა ჩინებული წალკოტი, რომელსაც ალტაცებით შეჰხაროდა ჩვენი ნორჩი ჭკუა და გრძნობა, მამულის ფასმა და სიყვარულმა დაიჭირა უპირველესი ადგილი ჩვენს არსებაში. მაშინა ვსცანით ნამდვილი მნიშვნელობა და საჭიროება სწავლისა, დავინახეთ, რომ სწავლას შეუძლიან აუხილოს ადამიანს თვალი და მისცეს ხელში ისეთი საგანი, რომლითაც უფრო უკეთ მოახერხებს სამსახურს ქვეყნისას.

რაკი ასეთმა საზოგადოებრივმა აზრებმა მიიზიდა ახალგაზდის გული, უკან გამობრუნება მოუხერხებელი-ღა იყო, გინდაც რომ ძალა მიგეტანათ. საკუთარის ნებით ხომ უკან კი აღარ, პირ-იქით, წინ უნდა წასულიყო სურვილი, რამდენიც სწავლის გემო გაუჯდებოდა გვერდებში ახალგაზდას. ასეც მოჰხდა. ჩვენს სასწავლებლებში ყმაწვილები გამოფხიზლდნენ. ამხანაგობა გაიმართა და ურთიერთის დახმარებით შეუდგნენ ახალგაზდები თავიანთს განათლებას—კითხულობდნენ, ბაასობდნენ, იმართებოდა აზრების აღებ-მიცემობა და სხვა ამისთანა სიკეთე. დამშეულივით დაეწაფა ჩვენი ახალგაზდობა სამოციან წელთა მდიდარს ლიტერატურას რუსეთისასაც, ბევრი საკაცთ-მოყვარო აზრები შეითვისა თვით იმ ასაკში, როდესაც ყმაწვილს თამაშობისა და ცელქობისათვის უფრო უნდა ერჩოდეს გული.

**

შეუძლებელი იყო, რომ ამ აზრებს არ ეჩინა თავი ახალგაზდის ყოველს დღიურს ცხოვრებაში. იჩინა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1874 წლიდამ ვიდრე 1878 წლამდე, სულ რაღაც ოთხის წლის განმავლობაში, მარტო ტფილისის სემინარიას მოაკლდა ოთხმოც-და-რვა საუკეთესო შეგირდი, რომელნიც გულს-მოდგენით ემზადებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის. თითქმის ამისთანავე ამბავი დააწყდათ ჩვენებურ დანარჩენს სასწავლებლებსაც. ქართველ შეგირდების რიცხვმა საშინლად იკლო სასწავლებლებში. იმ დღიდამა ვხედავთ, რომ თითქმის ყველა ახალგაზდა, რომელსაც-კი შეეტყობა რაიმე ნიშან-წყალი სიკეთისა, ვერ გასცილდება ხოლმე მეხუთესა და მეექვსე კლასს.

ამის გამო უმაღლესს სასწავლებლებშიაც იშვიათად ღა მიდიოდა ქართველებისაგან და ვინც მიდიოდა, ყოველი მათგანი დაგემოწმებათ, რომ მისნი ძალა-უნებურად ჩამორჩომილნი ამხანაგნი გაცილებით აღემატებოდნენ იმათ ჭკუითაც, ცოდნითაც, პატიოსნებითაც, გულითაც და მხნეობითაც. ყოველი მათგანი გულ-წრფელად ჰგლოვობს, რომ ისეთს ამხანაგებს-კი არ ეღირსათ უმაღლესის სწავლის მიღება, და სხვანი, იმ დროს თვით უნივერსიტეტიც სულ სხვა იყო...

უნივერსიტეტის ამისთანა ყოფას თუ ახლა ისიც წაუმატეთ, რომ უმეტესი ნაწილი სტუდენტობისა ძალიან შევიწროებული იყო უქონლობით, რომ ხშირად თვეობით ბევრი მათგანი მშრალს არჯანოის პურზე ისხდნენ და სულ მობუზულები დაიარებოდნენ სიცივისაგან,—მაშინ ადვილად წარმოიდგენთ, რა ნაირად გაძნელდა ჩვენის ახალგაზდისათვის როგორც თვით სწავლა, აგრეთვე აღზრდა ჭკუისა, ხასიათისა და გრძნობისა.

სანო

ნასკნელი ადგილი. იგი მწყსიდა შაკისის, წუქეთს და კლისენს ხუნძახითურთ, ე. ი. მთელს მიდამოს მტკვრიდამ კავკასიონის მთებისა და ალაზნის გამოყოლებაზე ვიდრე მაჰის წყლამდე, ანუ აწინდელის ალდაშის, ნუხისა და ზაქათალის მაზრებს.

დღეს ამ სიდიდე მანძილზედ მართლმადიდებელ მკვიდრ ხალხად ითვლებიან მხოლოდ უდები (ნუხის მაზრაში) და ინგილოები (ზაქათლის მაზრაში). რიცხვი ერთთაცა და მეორეთაცა 25,000 ძლივს იქნება, მაშინ-როდესაც სამთავე მაზრაში თითქმის 200,000-მდე მკვიდრია ..

შესანიშნავ ნაშთთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აქაურის ხანების სასახლეც. იგი სდგას ქალაქის თავში მაღალ ადგილას. გარეშემო არტყია მაგარი ციხე-სასახლე ორ-სართულიანი, სპარსულ ყაიდაზედ ნაშენი და ათას ფრად დაჰრელებული და დაჩუქურთმული. სასახლის წინ ორი თუ სამი უშველებელი ჩინარია, რომელზედაც ხანები ჩამოარჩობდნენ ხოლმე დამნაშავეთ. ციხესა აქვს მაგარი ბურჯები და სათოფურები. ეხლა ეს ციხეცა და სასახლეც ეკუთვნის ხაზინას. ციხის შენობაზედ გარდმოცემა გვაუწყებს შემდეგს: ხანმა განიზრახა ამ ციხის აგება, მაგრამ ჯერ პირველად დაეკითხა მკითხავსაო. მკითხავმა უთხრა: „მაგარი ციხე გამოგივა, ისეთი მაგარი, შენ შთამომავლობას კარს რომ მტერი მოადგება, გაქცევასაც-კი ველარ მოახერხებს და შეპყრობილ იქნებაო“. აღსრულდეს ნება ალლახისა, რაც მომივა—მომივაო, ბრძანა ხანმა და განკარგულება მოახდინა ციხე აეგოთ. მკითხავის თქმული აღსრულდა. ამ საუკუნის დამდეგს რუსები გარს მოადგნენ ციხეს და შეიპყრეს უილაჯოდ დარჩომილი ხანი.

ნუხიდგან ევლახამდე (რკინის გზის სადგურამდე) 73 ვერსზე მშვენიერი გზა-ტკეცილია გაყვანილი, აქ ყოველ დღე დადის დილიჟანი და ღირს სულზე 3 მან. 20 კაპ. საინგილოსკენაც გაყვანილია გზა-ტკეცილი, რომელიც გადის კაკზე (34 ვერსი), ზაქათალაზე (68 ვერსი), სიღნაღზე (150 ვერსი) და შემოდის ტფილისს; ხოლო ნუხიდგან ტფილისამდე ფოსტის გზით 261 ვერსია. ამ გზაზედ ყოველ დღე ნუხიდგან გამოდის მრავალი ფურგუნები და ქალაქში მოაქვსთ ათას გვარი საქონელი.

მუხაძე

---

### წერილი რედაქციის მიმართ

(იბეჭდება ცენზურის კომიტეტის განკარგულებითა და ცენზურის წესდების მე-139 მუხლის ძალით)

თქვენის პატივცემულის «ივერიის» მე 103 №-ში აწერილი იყო, რომ ჰქონია სჯა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებას აპრილის ათს ამა წლისას. სხვა საგნების შორის მეცხრე მუხლში ეწერა, რომ ალ. ს--ის ძე შ--ვის თაოზედ გორის თავად-აზნაურობამ დაადგინა განაჩენი, რათა იშუამდგომლონ, ვისდამაც ჯერ არს, და მოამშორონ მე გორის მაზრიდამ, ვითარცა ყოვლად მავნე კაცი, მდევნელი თავად-აზნაურობისა და გამყიდველი იმათის მამულებისა.

უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო რედაქტორო, რომ მე ერთს თავადიშვილთან ვიყავი მამულების მმართველად. ამ თანამდებობაზედ დავრჩი ხუთი წელიწადი. ჩემმა შრომის ფასმაც კარგად გაიდგა ბურჯი. რამდენიც დავუწყე ხვეწნა და ღრეჯვა შრომის ფასის მოცემაზედ, ის ყოველთვის მაიმედებდა მალე მოცემას. უმთავრესი პირობა იმისი იყო შემოდგომა. ბევრმა შემოდგომამ და სხვა თთვეებმაც გაიარეს, მაგრამ მაინც არ მეღირსა ჩემი ნაფასური, არ შეხედა თავისს ღმერთსა და ნება-ყოფლობით არ მომცა აღთქმული იმისგან ნაფასური. რამდენი დროც მოდიოდა, იმდენი ემატებოდა და იმისგნით-კი არა დნებოდა-რა. ხუთის წლის შემდეგ გავანებე თავი იმის მამულებს და დავატანე ძალა, რომ აღთქმული ჯამაგირი მოეცა. არამც თუ ჯამაგირის მოცემა არ ინება მისმა ბრწყინვალებამ, არამედ ძალადობითა და მოსამსახურეების შემწეობით სრულიად გამტაცა რაც რამ მებადა და დამაგდო რიყეზედ. იმისს ბრწყინვალების პატიოსანმა ქცევამ მიმიყვანა იმ ზომამდის, რომ იძულებული ვიყავი გამომეცხადებინა სამართლისათვის იმისი უკანონო მოქმედება. სასამართლომაც იცნო ჩემი საჩივრები კანონიერად მისთვის მომანიჭა და რამდენიმე კიდევ სწარმოებს მის წინააღმდეგ,—აქედამ მძლავრი თავადიშვილი გადამეკიდა, ეს თითქმის შვიდი წელიწადია, და არც ერთს ღონის-ძიებას, არც ერთს უდიდესს მოხელეს არ ერიდებოდა, რომ გავეძევებინე არა მარტო გორიდამ, გორის მაზრიდამაც-კი, მაგრამ ეს გაიძვერაობა მალე გაუგეს და უარი უყო იმის საჩივარს უმაღლესმა მოხელემ ჩვენის ქვეყნისამ. ამ მხრივ რომ ვერას გახდა ჩემი განრისხებული თავადიშვილი, მიჰმართა თავად-აზნაურთა კრებას. ასე გახლდათ საქმე, ბ-ნო რედაქტორო.

ეს ვახლავთ ჩემი უმართლესი სათხოვარი, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის ცნობილის პატიოსნების წინაშე და თუ მფარველობის ქვეშ არ მიმიღებთ ტყუილ-უბრალოდ გაქელილს კაცს მთელის კრებისაგან, დამიბეჭდავთ მაინც ამ წერილს.

ალექსანდრე შაიშმელოვი

ქ. გორი
ივნისის 15

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ჰერცოგი ედინბურგისა სტამბოლში იყო და ხონთქარს მოელაპარაკა. მოლაპარაკების საგნად ყოფილა საპოლიტიკო საქმეები. გაზ. Polit. Korresp. სწერს, რომ ჰერცოგმა ნება სთხოვა ხონთქარს: ინგლისის ფლოტმა, თუ საჭირო იქნება, თავისუფლად იაროს შავს ზღვაშიო, მეტადრე მაშინ, როცა ბოლგარიის საქმეები აირევაო. ამას გარდა ჰერცოგს უთხოვნია ხონთქრისათვის ხელი მოაწერეთ ეგვიპტის კონვენციას, რომელიც სერ დრუმონდ ვოლფის შრომით იქმნა შედგენილიო. უკეთუ ოსმალეთი შეიწყნარებს ჩვენს თხოვნასაო, უთქვამს ჰერცოგს: ინგლისი ერთის წლის განმავლობაში გამოიყვანს ჯარებს ეგვიპტიდამაო. ამას გარდა ინგლისი იტვირთებს დაიცვას ოსმალეთის სამფლობელო, თუ ვინმე ბრძოლა დაუწყოვო. თუ ვინიცობაა საჭირო იქნება, თავისის ხარჯით მოაშველებს დიდს ჯარს, რომელსაც, სადაც ოსმალეთს უნდა, იქ გადასხავს მტერთან საბრძოლველადაო. ყველა ამას გარდა ინგლისს შეუძლიან თავისის ფლოტილიით, რომელსაც სპარსეთის ყურეში ჰყავს, ძალა დაატანოს სპარსეთს, რომ მან ოსმალეთის წინააღმდეგ არ იმოქმედოსო.

— ინგლისის საადმირალო გამგეობის სეკრეტარს ბ-ნს ორვუდს წარმოუთქვამს სიტყვა და სხვათა შორის უთქვამს, რომ, თუ ვინიცობაა ომი დაიწყო, ინგლისს მზადა ჰყავს საომრად 40 ჯავშნიანი ხომალდიო.

— ირლანდიაში ელიან მარკიზ გარტინქტონს, რომელმაც უნდა წარმოსთქვას ვრცელი სიტყვა პოლიტიკის შესახებ ბულფასტშიო.

**საფრანგეთი.** 27 სექტემბრიდამ კვლავ დაიწყებს მუშაობას საფრანგეთის პარლამენტი. ამბობენ, რომ იქნება ადრეც შეიკრიბოს პალატა და 20 სექტემბრიდამ დაიწყოს მუშაობაო. პირველსავე კრებაზე ფლოკეს განზრახვა აქვს ითხოვოს გადასინჯვა კონსტიტუციისა, მაგრამ ეს ამბავი არა სჯერათ. თუ კონსტიტუციის გადასინჯვას ითხოვს ფლოკე, უფრო ბულანჟეს ჯიბრით ითხოვს და იმის მომხრეთა თვალის გამოსათხრელადაო.

— გაზ. Patrie ამბობს, რომ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს მოსვლია ფიქრად მსოფლიო გამოფენის გამართვა გადასდოს 1890 წლისათვისაო. როგორც ხმა დადის, ეს აზრი გარეშე საქმეთა მინისტრის გობლეს აზრიაო.

---

## წვრილი ამბები

21 აგვისტოს წარსულის თთვისას სწორედ 50 წელიწადი შესრულდა, რაც გარდაიცვალა ადელბერგ შამისსო, ერთი მეტად თავისებური და საკვირველი პოეტი გერმანიისა. ამ დღეს პოეტის საფლავი ახალ იერუსალიმის სასაფლაოზედ ბერლინს აივსო ყვავილების თაიგულებით და ამას გარდა გაზეთებმა ცალკე წერილები უძღვნეს საყვარელის პოეტის მოგონებას. უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ეს განთქმული გერმანელთა პოეტი ფრანგია შთამომავლობითაცა და აღზრდითაც; რომ ის მწერალი, რომელსაც მთელი გერმანია ერთბამად იგონებს, დაიბადა შამპანიის ციხე Bonkourt-ში, რომელიც იმისს მამას გრაფ ლუი შამისსოს ეკუთვნოდა. საფრანგეთის რევოლიუციამ იძულებულ გახადა გრაფის ოჯახი სხვათა კარზე ეძოვნა თავ-შესაფარი: ახალგაზდა შამისსო 16 წლისა იყო, როცა მშობლებთან ერთად ჯერ ჰოლანდიაში წავიდა და შემდეგ პრუსიას, სადაც მომავალი პოეტი სამხედრო სამსახურში შევიდა. ბერლინში შამისსო ახლო გაეცნო და დაუმეგობრდა ლიტერატურაში მაშინდელს მოღვაწეთა; კარგად იყო მიღებული ფარნჰაგენისა, გიტცელისა და სხვათა მიერ. ჯერ 1804 წელსვე მიიქცია ამ უმაწვილმა კაცმა ყურადღება იმ თავისის წვრილის ლექსების გამო, რომელიც დაჰბეჭდა ბერლინის ალმანახში, ხოლო როცა 1836 წ. თავისი თხზულებანი გამოსცა ოთხ წიგნად, მეფე ფრიდრიხვილჰელმს სრული უფლება მიეცა მიეწერნა პოეტისათვის: „დიაღ, თქვენი ლექსები ჭეშმარიტი პოეზიაა და არა მესტვირეობა, სიტყვის დაბოლოებათა გათილ-ხმოვანად შეწყობა. რადგან მიაგენით მაგ გიოტესებურ გერმანულ ზღვრათა? ბევრს ფრანგსა ჰყვარებია და სცოდნია ჩვენი გერმანული ენა, ხოლო ჩვენამდე ჯერ არც ერთი უცხო ქვეყნელი არ გაგონილა ისეთი, რომელსაც ჩვენთა მწერალთამებრ ჩვენი ენა სცოდნოდეს. ხოლო თქვენ-კი გადააჭარბეთ იმათაც!“

— იტალიის მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ თურმე ამ ჟამად იმისს შესახებ, თუ რა ზარალი მოაქვს კრისპის იტალიის სამინისტროსათვისაო. კავშირობის კავშირის დარღვევის გამო იტალია ზარალობს 28.000,000 მან. წელიწადში, ჯარის სამხედრო ფეხზედ დაყენებასა და შეიარაღებას ანგარიშობენ 32.000,000 მან., აფრიკის ექსპედიციაზე დახარჯულს 40.000,000 მან. თან მოჰყვა ბიუჯეტიდგან მეტი ხარჯი წელიწადში 4.000,000 მან. (რათა ნელ-ნელა გარდახდილ იქმნას განსაკუთრებული სესხი), ასე რომ წელიწადში მეტი ხარჯი 104.000,000 მანათი მოუვიდისო. აი, რამდენს ახარჯვინებს იტალიას კრისპი მხოლოდ გერმანიის კანცლერის pour les beaux yeux-ის გულისათვისაო,

— დიდი ხანია დასავლეთს ევროპაში ლაპარაკია აწ მიღებულ გრიგორიანის კალენდარის შეცვლაზე როგორმე და დიდ-ძალი პროექტებიც არის შემდგარი ამის შესახებ. პირველი საჩუქარი ამ პროექტებში იმან მიიღო, რომელშიაც ერთი მახვილ-გონიერი საშუალება იყო მოთხრობილი ძველანდელის კალენდარის შესაცვლელად. ამ პროექტში ნაჩვენები იყო, რომ რადგან წელიწადის ოთხად განაწილების დროს თითო ნაწილზე 91 დღე მოდის და 91-ვი 7-ად გაიყოფება, 13 კვირა გამოდის, ამიტომ წელიწადის ერთს დღეს ანგარიშში ნუ ჩავაგდებთ და მშვენიერის კალენდარის შედგენა შეიძლებაო. ბ-ნი არმელანი, შემდგენელი ამ პროექტისა, ჰრჩეობს, რომ ეს მეტი დღე ახალ წელიწადად იქმნას წოდებული და ნუ იქმნება ჩათვლილი ნურც თთვესა და ნურც კვირაში, საკალენდარო წელიწადი 364 დღედ აღირიცხებოდესო. თუ ამ პროექტმა გაიმარჯვა და შემოღებულ იქმნა, თთვე 28 დღით აღარ იქმნება, თთვეები 30 და 31 დღით მორიგად დაეწყობა და, ამას გარდა, არც 1 და 15 რიცხვი ყოველთვის კვირა დღე მოვა. ამ პროექტს ამ ჟამად ბევრი მომხრე ჰყავს და ბევრი მოწინააღმდეგეცა.

— საფრანგეთის რევოლიუციამდე, 1789 წ., ერთს საგიჟეთში დამწყვდეულ იქმნა თურმე მარკიზი დე-ს. იმის გამო, რომ როცა ოპერის თეატრში იყო, დედოფალის მარია-ანტუანეტის წინაშე ქუდი არ მოიხადა, თუმცა მორიგე აფიცერმა მოსთხოვა ეს. ამის მიზეზით მარკიზს გარდაეწყვიტა ბასტილიაში დამწყვდევა, ხოლო მღიერთა მეგობართა მეოხებით ასცდა ამ სასჯელს და დამწყვდეულ იქმნა სულით ავადმყოფთა სადგურში. ამ სახლში გაატარა მარკიზმა 1836 წლამდე, საფრანგეთის რევოლიუციამ იმისთვის შეუმჩნევლად განვლო და თავისს დღეში არც ერთხელ არ მოისურვა თურმე საგიჟეთიდგან გამოსვლა და განთავისუფლება. მთელს დღეებს ძველთა კლასიკთა კითხვაში ატარებდა და თავს ირთობდა. ბოლოს განთავისუფლებულ იქმნა 47 წლის საგიჟეთში ყოფნის შემდეგ და ძალიან გაუოცდა თურმე, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ისე შეცვლილაო.

— ბერლინის გაზეთები შემდეგს სასაცილო ამბავს მოგვითხრობენ: ერთს მეფაბრიკეს გაუგზავნია თავისი ცოლი კისინგენში სამკურნალოდ და თითონ-კი თან არ გაჰყოლია, რადგან საქმეებში გართული ყოფილა. რამდენისამე ხნის შემდეგ მიუღია ცოლის ექიმისაგან წერილი, რომ თქვენი მეუღლე ვიდამაც გაიტაცაო. ამაზედ ერთგულის ცოლის ქმარს ექიმისათვის შემდეგი დეპეშა მიუწერია: „გმადლობთ მაგ ამბის შეტყობინებისათვის. ჩემს ცოლს იმდენად ვუყვარვარ, რომ უეჭველად დაბრუნდება—პირველად არ ემართება მაგისთანა ამბავი“.

— ბ-ნნი იაპონელნი მეტად არაგულზვიადნი და თავ-დაბალნი ხალხნი უნდა იყვნენ, თუ მივხედავთ იმას, რა გვარს სადილებზე მიწვევის ბარათებსაც არიგებენ თავიანთს სტუმრებთან. აი ერთი ამისთანა ბარათი: «მოწყალეო ხელმწიფევ! გთხოვთ მომიტევოთ, რომ ვბედავ და სადილზედ გეპატიჟებით. ჩემი სახლი დიდი არ არის და ამასთან მეტად უსუფთაო და ჭუჭყიანია. მსახურები ჩემნი უზრდელნი არიან და, ამას გარდა, ჩვენს სახლში ვერას იპოვნით ისეთს, რაც მოგეწონოთ. მაინც კიდევ იმედი მაქვს, რომ თავს დამიმცირებთ და მეწვევით სადილზე ამა-და-ამ რიცხვს, საღამოს 6 საათზედ“, თქმა არ უნდა, რომ ამ თავის დამცირებას არავითარიმე მნიშვნელობა არა აქვს. სტუმარი დარწმუნებულია, რომ სტუმრის მოყვარე მასპინძლები დახვდებიან მშვენივრად მოწყობილს სახლში. იაპონელები საწვევ სადილზე საზოგადოდ 12—15 ნაირს აჭმევენ მეტად ძვირფასსა და გემრიელს საჭმელსა.

---

## დეპეშა

7 სექტემბერი

**ტაშკენტი.** გავრცელდა ხმა, ვითომ ემირი ავღანისტანისა აბდურახმანი უეცრად გარდაიცვალაო.

**ხარკოვი.** საგანგებო კრება მთის მრეწველთა დანიშნულია 12 სექტემბრისათვის. ამ კრებაზე ლაპარაკი ექმნება იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შესაძლოა აიცილონ ქვა-ნახშირის კრიზისი. ჩვეულებრივი კრება შესდგება ნოემბერში.

8 სექტემბერი

**ბერლინი.** ბერლინის გუბერნატორი ვერდერი, საკუთარის თხოვნისამებრ, სამსახურიდგან გადუყენებიათ და ჩაურიცხავთ ზურგის ჯარში.

**პარიჟი.** დღეს მინისტრთა საბჭომ დაადგინა წინანდებურადვე ახლევინონ მემოტანილეს პურზე ბაჟი—ხუთი ფრანკი.

**სიმლა** (დეპეშა რეიტერის სააგენტოსი) აქ არავითარი ცნობა არ მიუღიათ აბდურახმანის გარდაცვალების შესახებ და ამიტომ ეს ამბავი არა სჯერათ.

9 სექტემბერი

**უფა.** გუშინ, გზათა მინისტრის თანადასწრებით, აკურთხეს სამარო-უფის რკინის გზა და დღეიდგან მუშაობასაც დაიწყებს.

**ფრიდრიხსრუე.** გრაფი კალნოკი დღეს მიდის ფრიდრიხსრუედგან ვენას.

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟში 1 სექტემბერს 1888 წლისას ხუთ ას მანათიანი მოგება რგებია შემდეგს 5% ბილეთებს პირველის შინაგანის სესხისას:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1299 | 1 | 12199 | — | 8725 | — |
| 2613 | — | 13591 | — | 2274 | 38 |
| 11165 | — | 18619 | — | 12897 | — |
| 16982 | — | 7016 | 21 | 19486 | — |
| 853 | 2 | 7088 | — | 489 | 39 |
| 6086 | — | 6810 | — | 1356 | — |
| 11164 | — | 6827 | — | 5819 | — |
| 13419 | — | 13072 | — | 12146 | — |
| 12941 | 3 | 3535 | 22 | 13391 | — |
| 13549 | — | 9384 | — | 17051 | — |
| 15154 | — | 12231 | — | 18900 | — |
| 16966 | — | 14538 | — | 5081 | 40 |
| 19076 | — | 15726 | — | 5155 | — |
| 19897 | — | 16611 | — | 15105 | — |
| 5342 | 4 | 661 | 23 | 16736 | — |
| 5983 | — | 2206 | — | 16809 | — |
| 7250 | — | 3402 | — | 16871 | — |
| 10638 | — | 4631 | — | 1991 | 41 |
| 11579 | — | 11646 | — | 2137 | — |
| 15187 | 5 | 13656 | — | 2195 | — |
| 18796 | — | 16470 | — | 16135 | — |
| 5196 | 6 | 3016 | 24 | 18696 | — |
| 9907 | — | 7130 | — | 21 | 42 |
| 13032 | — | 8405 | — | 1514 | — |
| 16943 | — | 10612 | — | 2350 | — |
| 17019 | — | 13903 | — | 4329 | — |
| 423 | 7 | 51 | 25 | 9456 | — |
| 1899 | — | 735 | — | 12591 | — |
| 7646 | — | 1429 | — | 15864 | — |
| 10822 | — | 4502 | — | 16276 | — |
| 3828 | 8 | 5511 | — | 17231 | — |
| 11380 | — | 12006 | — | 19539 | — |
| 17763 | — | 12943 | — | 19752 | — |
| 19876 | — | 16753 | — | 19838 | — |
| 857 | 9 | 17792 | — | 4611 | 43 |
| 1742 | — | 4244 | 26 | 10756 | — |
| 4119 | — | 5411 | — | 11252 | — |
| 5438 | — | 8452 | — | 14128 | — |
| 5782 | — | 14061 | 27 | 15600 | — |
| 7347 | — | 7943 | 28 | 16215 | — |
| 8041 | — | 8741 | — | 19037 | — |
| 11533 | — | 10512 | — | 4258 | 44 |
| 5657 | 10 | 14769 | — | 4352 | — |
| 15012 | — | 19931 | — | 6523 | — |
| 17130 | — | 1744 | 29 | 6582 | — |
| 11318 | 11 | 2190 | — | 7590 | — |
| 11986 | — | 3328 | — | 9932 | — |
| 13317 | — | 6197 | — | 10101 | — |
| 251 | 12 | 18427 | — | 18567 | — |
| 17837 | — | 3339 | 30 | 935 | 45 |
| 19007 | — | 5626 | — | 3916 | — |
| 6479 | 13 | 17793 | — | 5675 | — |
| 15379 | — | 3829 | 31 | 13192 | — |
| 18983 | — | 8739 | — | 15751 | — |
| 2491 | 14 | 14805 | — | 2089 | 46 |
| 16571 | — | 17539 | — | 9992 | — |
| 17183 | — | 3620 | 32 | 11389 | — |
| 885 | 15 | 3705 | — | 4729 | 47 |
| 5326 | — | 3774 | — | 9301 | — |
| 7142 | — | 5763 | — | 10866 | — |
| 8101 | — | 8342 | — | 13089 | — |
| 9802 | — | 9560 | 33 | 17833 | — |
| 12871 | — | 10345 | — | 3257 | 48 |
| 13371 | — | 11784 | — | 6145 | — |
| 15816 | — | 14550 | — | 8492 | — |
| 65 | 16 | 14952 | — | 8996 | — |
| 6744 | — | 4359 | 34 | 9709 | — |
| 7954 | — | 4810 | — | 11931 | — |
| 9310 | — | 4991 | — | 12232 | — |
| 13803 | — | 13657 | — | 13123 | — |
| 18540 | — | 15023 | — | 14473 | — |
| 19694 | — | 16254 | — | 17306 | — |
| 6855 | 17 | 18275 | — | 3058 | 50 |
| 10813 | — | 418 | 35 | 10106 | — |
| 12188 | — | 4544 | — | 11958 | — |
| 13064 | — | 7927 | — | 19065 | — |
| 14911 | — | 8382 | — | | |
| 18737 | — | 3068 | 36 | | |
| 16978 | 18 | 3973 | — | | |
| 18608 | — | 4245 | — | | |
| 12718 | 19 | 9395 | — | | |
| 15577 | — | 9504 | — | | |
| 17940 | — | 12368 | — | | |
| 18625 | — | 13094 | — | | |
| 1215 | 20 | 17433 | — | | |
| 2912 | — | 19556 | — | | |
| 11692 | — | 7837 | 37 | | |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგს, 1888 წლის პირველ სექტემბრიდგან.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6295 | 16321 | 4592 | 4844 | 14757 | 8238 |
| 8221 | 12544 | 19855 | 18191 | 13416 | 16115 |
| 3366 | 16947 | 16815 | 634 | 18508 | 11559 |
| 16768 | 18492 | 8181 | 11279 | 12855 | 13696 |
| 12696 | 9211 | 16556 | 12587 | 3928 | 2739 |
| 7138 | 188 | 10622 | 7464 | 3894 | 8682 |
| 18293 | 16635 | 13888 | 14770 | 17617 | 16593 |
| 9311 | 2201 | 5636 | 7943 | 9682 | 12346 |
| 17202 | 17074 | 7114 | 1381 | 13149 | 14491 |
| 7487 | 19068 | 16837 | 13842 | 16641 | 8112 |
| 13689 | 1949 | 6673 | 7223 | 10924 | 12266 |
| 14364 | 11316 | 15183 | 10118 | 8645 | |
| 3667 | 16320 | 4836 | 7609 | 10405 | |
| 2230 | 12768 | 12091 | 3862 | 14669 | |
| 2074 | 3346 | 10223 | 729 | 12001 | |

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება, თითოეულზე 125 მ., შეიძლება 1888 წლის პირველ სექტემბრიდგან სახელმწიფო ბანკში და იმისს კანტორებსა და განყოფილებებში.

## პეტერბურგის ბირჟა, 6 სექტემბერი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 70 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 151½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 20 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 261 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 237 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზო გადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

10 დღე შაბათი. წამ. ლუკასი და კლიმენტისა. კათოლ. გიაცინტასი. სომეხ. ჯვართ ამაღლების წინა დღე. თევზეული და ერბოული ეჭმევათ. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 5—58. მთვარე 17 დღისაა.

11 დღე კვირა. წამ. თევდორესი. კათოლ. თევდორესივე. სომეხ. წმ. ჯვართ-ამაღლება (ხაჩვერაცი). მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 5—56. მთვარე 18 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბირდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . | 3½ » |
| „ 2 „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 „ |
| „ „ 2— | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 |
| მე-3 — | . | „ „ |
| ძროხის ხორცი | . | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი | . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| ღორის ხორცი | . | „ „ |
| „ 2 „ | | „ „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწვრილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—9)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა სამათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა | » 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 50 |
| II ნაწ. | 1 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ 15 |
| ფშაური ლექსები, კაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ 30 |

გრიგოლ ჩარკვიანის

ქართულს წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

# თამარიანი

ისტორიული პოემა სვიმონ გუგუნავასი.

ფასი ათი შაური.

(2—1)

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

მ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვას უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქიraოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

**Въ центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, находится складъ нижеслѣдующихъ книгъ:**

**Захаровъ.** Собраніе примѣровъ для письменнаго исчисленія, изд, 8-е цѣна 20 к.

**Вересовъ.** Рисованіе по сѣткѣ. Для самостоятельныхъ занятій дѣтей въ школѣ и дома, изд. 2-е ц. 20 к.

**Дрбоглавъ.** Пособіе для первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

„ Опытъ методики первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

**Ракушанъ.** Arriani anabasis. Для учениковъ 3 класса гимназій и прогимназій. ц. 65 к.

**Агніевъ.** Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ. ц. 40 к.

**Беккъ.** Энциклопедія теоретической философіи. ц. 1 р. 20 к.

**Вейденбаумъ.** Путеводитель по Кавказу, съ 12 рисунками и картою Кавказа. ц. 3 р. 50 к.

**Чубиновъ.** Русско-Грузинскій словарь.

Тамъ-же заготовленъ большой запасъ учебниковъ къ предстоящему учебному году. (5—4)


Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე